ფრეა

სურათებიანი დამატება

დამატების № 8. ქვირა, 30 აპრილი, 1906 წ. გაზეთის № 23.

ქირონდისტი

აგერ დაიძრა ქუჩისკენ ეტლი,
სამარცხვინო და ეტლი წყეული,
ჰოი, საბრალო, მსხვერპლო მამაცო,
სულმთლად გაფითრდი, გიკვნესის გული!

—

მთლად მოიქანცა წარსულ ღამეში,
ეთხოვებოდა იგი სიცოცხლეს,
იცოდა, მალე ჯალათის ხელში,
დალევდა თავის კრულ წუთი-სოფელს!

—

გონება აღარ ემორჩილება,
შავ-ფიქრთ ბურუსი გადაეფარა,
ეტლი კი მიდის, უახლოვდება,
წყეულ ეშაფოტს ის თან და თანა!

—

გარშემო ხალხი მისდევს, უყურებს,
ჯარი სცემს განგაშს, უკრავს ბარაბანს
და იმას კია ყოველი წამი
მოუთხრობს მხოლოდ სიკვდილის ამბავს.

—

დიაღ, სიკვდილის... ისიც ელოდა,
და განრინებაც არ გაუკვირდა,
მაგრამ ეს ხალხი გულ-მხიარული,
უკან რომ მისდევს, როგორ უყვარდა!

—

თვალთ უბნელდება, სულს ძღივსღა ითქვამს,
გულს სწიწკნის მწარედ შავი აჩრდილი,
ხედავს სიკვდილსა, მოდის იმისკენ,
მოდის იმისკენ ხელ გამოწვდილი.

—

რაღაც ქვითინებს... ოჰ, შეაყენეთ,
გამოაბრუნეთ ეტლი წყეული!
საშინელია... შავი ჯურღნული...
ოჰ, რა კარგია ისევ წარსული!

—

მაგრამ ცრემლები სულ ამაოა,
გვიანღა არი... ეტლი მიგორავს,
აგერ მის სახლი, მოჰკრა მან თვალი,
იქ მისი დედა ქვითინებს, ოხრავს.

—

აგერ ფანჯარაც, იქ წაიკითხა
ახსოვს ის წიგნიც, მას მოაგონდა,
რომ იმის შემდეგ გულის წიაღში
წმინდა საქმისთვის თავი გადადვა!

—

მაშინ გადასწყდა მისი სვე-ბედი,
მან შეასრულა თავისი აღთქმა,
აღსრულდა ყველა და ეშაფოტი...
მას დაუმზადა ურცხვათ ჯალათმა!

—

ოჰ, რა ტკბილია ისევ სიცოცხლე,
რა ტკბილი იყო ძველი წარსულიი
ნელა, ოხ, ნელა, უკელით ნაბიჯ...
მინდა ვიცოცხლო, მიცემდეს გული.

—

რა გეჩქარება, ბრბოვ, სანახავი
მალე იქნება... და მოესწრები...
აგერ გამოჩნდა სამსჯავრო სახლი
და მედიდური მისი კედლები!

—

ახსოვს მსაჯულნი, რა გვარ სიმკაცრით
ასამართლებდნენ და მსჯავრსა სდებდნენ,
ისინი რწმენას სისულელეთა
და მძლავრს რწმენითა მტრათა სახავდნენ.

—

სისხლის წყურვილით მთლად შეპყრობილნი
შეუბრალებლად სთხრიდნენ საფლავებს,
მსხვერპლსა სწირავდნენ უსინდისობას,
ამბობდნენ წმინდა მაღალ სიმართლეს.

—

ვერ მოითმინა, მან პირში უთხრა,
პირში ახალა, რაც გულში ჰქონდა,
იქ სამსჯავროში, როგორც რო მეხი
მი'ი გმირული ხმა გაისმოდა!

—

კარგად იცოდა მათი განზრახვა,
ეს წუთი იყო უკანასკნელი
კარგად იცოდა, რო განჩინება
იყო იმისთვის საფლავი ბნელი.

—

დიაღ, საფლავი... მაგრამ ოხ უკან,
ეტლი უკანვე გამოაბრუნეთ!
საშინელია, ასე გულგრილად
რას ემომცქერით, რისთვის მიყურებთ!

—

რა ტკბილი არი ეხლა წარსული
მაგრამ, აგერ, სცემს ბარაბანს ჯარი,
ახლოა, ახლო ეშაფოტიცა,
აგერ ჯალათიც, ის საზიზღარი.



პროფ. ს. ა. ჟურბინსკი.
სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე.

ბრბო კი ხმაურობს, ბრბო ილიმება,
შავი ბურუსი გადეკრა თვალებს
გული გაყუჩდა, თავ-ბრუ დაესხა
და დედა-მიწა თითქოს ტრიალებს.

—

მაგრამ წინ წადი, წინ გმირულათა,
ადგი ნაბიჯი უკანასკნელი,
აჰა, გათავდა ტანჯვა-წამება,
გათავდა შენი წუთი სოფელი!

—

დედავ, მშობელო, სამშობლო მიწავ,
შენ დაუყუჩე მწარე ტკივილი,
შენ აღზარდე და შენ მიიბარე
სამაგალითო ეგ გმირი შვილი!...

ი. ეგდოშვილი

სამაისო სიზმარი

(მუშათა ცხოვრებიდან *).

უყარეს საკითხს კენჭი. უმეტესობა წინააღმდეგი იყო. და ამგვა"ად, მეფის სასახლეს იმედი გაუცრუდა, რადგან პარლამენტის ნება-დაურთველად ბელგიაში მთავრობას არ შეუძლია დახარჯოს ერთი გროში-კაპეიკიც-კი.

იჯდა ფედორი და უგდებდა ყურს მუშათა კლასის დეპუტატებს, უსმენდა და არა სჯეროდა ყველაფერი ეს, ისე იყო განცვიფრებული.

—უფალო! ვინც გინდა, რომელი ღმერთიც გინდა, იმას ვიწამებდი, ოღონდ კი ყველაფერი ეს ჩვენში იყოს, ჩვენს რუსეთში,—წამოიძახა მან.

—არა, ამხანაგო, ღმერთი აქ არაფერ შუაშია, იგი ამისთანა საქმეებში არ ერევა, ოხუნჯობდა ბელგიელი; ილოცე შენი თავი, სთხოვე შენს თავს, შენშივე ეძიე ძალა; შეუერთდი ამხანაგებს. თქვენი პატრონი და მხსნელი თქვენვე იქნებით, სხვა ვერავინ გიშველით. სანამ ჩვენ გატანჯულები ვიყავით, არავინ და არსად არ იცავდა ჩვენს უფლებებს, ჩვენ უპატრონონი ვიყავით... მაგრამ გვეყოფა აქ, წავიდეთ, ეხლა გაჩვენებ ჩვენს საკუთარს სახლს, „სახალხო სახლს“.

არტცმა და ფედორმა ხელ-ახლა ქუჩებში ამოჰყვეს თავი. გაიარეს მდიდარი ქუჩები, აუარებელი მორთულ-მოკაზმული ხალხი ადიოდა და ჟრიამული გაჰქონდა. ცოტა ხნის სიარულის შემდეგ, გავიდნენ უბნებში.

აქ ისეთი სისუფთავე არაა, როგორც იქ, დიდს ქუჩებზე,—შენიშნა ფედორმა.

—სამაგიეროდ აქ ერთობაა! გასუფთავებას მერმე მოვასწრობთ...

გაიარეს ქუჩები, ქუჩაბანდები და მიაღწიეს ბავიერის ქუჩას. შეუხვიეს თუ

*) იხ. „დამატება“ № 7.

სამეგრელო.—სატირლად მიმავალი მეგრელები.

არა ამ ქუჩაში მაშინვე შეამჩნიეს მარჯვნივ ვეებერთელა, სამ-სართულიანი სახლი; ეს იყო „სახალხო სახლი“, რომლის სახურავზედაც წითელი დროშა ფრიალებდა.

— რომელს ეკუთვნის თქვენში ეს სახლი! ჰკითხა ფედორმა.

მუშების შეერთებულ, შეკავშირებულ საზოგადოებას, მუშათა პარტიას,—უპასუხა ბელგიელმა.

შევიდნენ პირველ ოთახში, სადაც ტრაქტირი იყო მოთავსებული. ერთს კუთხეში, პატარა ბუფეტი სადაც ლუდსა ჰყიდნენ. იქვე საუზმეები ელაგა, ოთახში ჩარიგებული იყო სტოლები და თაროები. აქ მოდიან დასასვენებლათა და სამუსაიფოდ მუშები თავიანთ ცოლებითა და ბავშვებით და ლუდს შეექცევიან. ახლა არავინ არ იყო ოთახში, რადგანაც მუშებს არ ეცალათ, მუშაობდნენ. შემდეგი ოთახი წარმოადგენდა გრძელ კარიდორს, რომლის ორივე მხარეს ორი კასა იყო გამართული: ეს მუშების დუქანი იყო. აქ ყიდულობდნენ იგინი პურსა, ნახშირსა, ყავასა, კარაქსა, კვერცხსა, და სხვა სანოვაგეს უფრო იაფად, ვიდრე სხვა დუქნებში. ამ დუქანს ჰქონდა თავისი ფურნე, თავისი ლუდხანა. მიუხედავად იმისა, რომ, სხვა დუქნებთან შედარებით, აქ სიიაფე იყო, კავშირში მონაწილე მუშას მოსაგებიც ხვდებოდა წილად. საერთო მოსაგები იყოფოდა იმისდა მიხედვით, თუ რომელს მუშას რამდენის რა უყიდნია წელიწადში. მეზობელ ოთახში მეორე დუქანი იყო, რომელშიაც იყიდებოდა ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ქუდები და სხვა წვრილმანი. ამ დუქანს ჰქონდა თავისი სა-განაგებენ მუშების-მიერ არჩეული პირები, რომელნიც ვალდებულნი არიან ყოველ წლივ ანგარიში ჩააბარონ ხოლმე მუშათა კრებას დუქნებისა და სახელოსნოების მოქმედებაზე.

ფედორმა დაუწყო გამოკითხვა; რა მნიშვნელობა ჰქონდა მუშების ამ კოოპერატივს. კასირმა უამბო, რომ კოოპერატივი მუშათა პარტიას დიდს ნივთიერს სარგებლობას გარდა, იმითი ემსახურება, რომ მათში ერთობის აზრს ამტკიცებს, ასწავლის თავიანთ საქმეების წარმოებას და იზიდავს დანარჩენს, ჯერ შეუგნებელს მუშებს. გარდა ამისა კოოპერატივის შემოსავლის გადაწყვეტილი პროცენტი მუშათა პარტიის საერთო პოლიტიკურ კასაში შედის.

ამავე სართულში მოთავსებული იყო ბიბლიოთეკა, რომელშიაც, უმეტესად, სოციალისტური წიგნები ჰქონდათ: მარქსისა, ენგელსისა, ცეზარ-დე-პაპესი, სოციალისტური ჟურნალები, ბევრი სამეცნიერო წიგნები, ადვილ გასაგებ ენით დაწერილი ბროშიურები პოლიტიკურისა და ეკონომიურ შინაარსისა. ეს ბროშიურები, ზოგჯერ საagიტაციო ხასიათისა, საარაკო იაფ-ფასში ისყიდებოდა—$^1/_2$-დან 1 კაპიკამდე.

შემდეგს სართულში მოთავსებული იყო ვეებერთელა დარბაზი, სადაც იმართებოდა მიტინგები და სხვადასხვა კრებები მუშათა პარტიისა. შესავალ კარების პირდაპირ, სიღრმეში იყო სცენა, რომელზედაც უქმე დღეებში აქტიორი მუშები სდგამდნენ პიესებს. დარბაზი ლამაზად იყო მორთული გვირგვინებით. ხვალ პირველი მაისია, ძველი ყვავილების ადგილს ახალი დაიჭერს.



სამეგრელო.—სეფა, საქორწინო ფარდული.

ხელოსნო, სამკერვალო და სხვა. მუშები იღებდნენ ამ სახელოსნოებში 5 ფრანკს დღეში (ცხრა აბაზსა და ერთს შაურს) და 6—9 საათზე მეტს არა მუშაობდნენ დღიურად. ყველა ამ საქმეს

ზემო სართულში სასიმღერო ოთახები იყო გამართული, იქვე იმართებოდა ორკესტრის რეპეტიციები (მუშებს ჰყავდათ თავიანთი გუნდი მომღერლებისა და ჰქონდათ სამუსიკო

საზოგადოებანი), ამავე სართულში ჰქონდათ ოთახი სოციალისტ-სტუდენტებს, რომელნიც მუშათა პარტიას ემხრობოდნენ. იყო აგრეთვე ოთახები სინდიკატებისთვის (ე. ი. პროფესიონალურ კავშირებისათვის). ბელგიის მუშათა პარტია ყოველ ღონისძიებას ხმარობს პროფესიონალურ კავშირების გასანვითარებლად და მას მუშათა მოძრაობის მთავარ საფუძვლათ სთვლის. თვითვეულ სინდიკატს აქვს თავისი ბიურო, რომლის საშუალებით კაპიტალისტები მუშებს შოულობენ და მუშებსაც საქმე უჩნდებათ. იქავე იყო ოთახი ორატორების სკოლისთვის. ამ სკოლაში გამოცდილი სოციალისტები ამზადებდნენ ორატორებს მუშებიდან, შესაფერს ცოდნას აძლევდნენ და უნვითარებდნენ ორატორულ ნიჭს.

— აქ კიდევ მოვასწრებთ სალამოთი დაბრუნებას,—უთხრა ფედორს არტცმა,—ჯერ წავიდეთ მეორე მახლობელ ქალაქ გენტში, თორემ შენ გეგონება, რომ მუშები მხოლოდ სატახტო ქალაქებში არიან ასე კარგად მოწყობილნი. დამშვიდდი! ასეთი მოწყობილება ბელგიის ყველა კუთხეში აქვთ მუშებს. ცენტრსა, ჟოლიმონში ნახშირის მაღაროების მუშებმა ააგეს თავიანთი სასახლეები, რომლებშიაც ისინი ისვენებენ თავიანთ ბნელ ქვესკნელიდან დაბრუნების შემდეგ. წავიდეთ გენტში.

ფედორი და არტცი გაემგზავრნენ რკინის გზის ჩრდილოეთის სადგურზე. მატარებლები თითქმის ყოველ წუთში მიდიოდნენ. საათ ნახევრის შემდეგ უკვე გენტში იყვნენ, საცა ცენტრია ქსოვილებისა და ტილოების წარმოებისა. წავიდნენ „სახალხო სახლის“ დასათვალიერებლად.

— აქ ამჟამად ორი „სახალხო სახლია“:

ერთი ვან-არტეველდის მოედანზე, მეორე ?დიდრების უბნებში. ძველი კოოპერატივი მოედანზე შიგნიდან სულ ერთავად მორთული იყო კედლებზე დახატულ სურათებით ბელგიის ისტორიიდან. სურათები ოქროს ვარაყებიან ჩარჩოებშია ჩასმული და მთელი შენობა ტაძარს ჰგავდა. შუაზე ოთახია, საცა გენტის მუშები იკრიბებიან, მიტინგები და კონგრესები იმართება. კედელზე დახატულია სურათები გამოჩენილ სოციალისტებისა: სენ-სიმონის, ფურიეს, რობერტ ოვენის, ცეზარ-დე-პაპესი, მარქსისა, ენგლისისა, ლასალისა და რუს ჩერნიშევსკისა. ვეებერთელა ოთახი დათმობილი აქვს ორატორებსა და მომღერალთა გუნდს.

ამ სახლის გვერდით, საცა ისე, როგორც ბრიუსელში, მიტინგების დარბაზს გარდა, მოწყობილი იყო ბიბლიოთეკა და კავშირების ოთახები, იმყოფებოდა დუქნები საზრდო-სანოვაგისა, ტანთსაცმლისა, იქვე იყო პატარა აფთიაქი და მოზრდილი სასტუმრო, რომელშიაც ჩამოხტებოდნენ ხოლმე მუშათა პარტიის წევრნი, გენტის გზით სადმე მიმავალნი. გენტის ორგანიზაცია სამის დღის განმავლობაში არჩენდა ამისთანე მგზავრთ. იქავე იყო საბულკე, რომელიც წინად ერთი რაღაც ღარიბი, უსახსრო ყოფილიყო, სარდაფში მოთავსებული, მაგრამ ახლა ვეებერთელა და ჩინებულად მოწყობილ ფურნედ გადაქცეულიყო. თუ წინად პური ხელით იზილებოდა, ეხლა, სამაგიეროდ, მშვენიერი საზელავი მანქანები იყო გამართული, იქ დამზადებულს პურს ჰყიდულობენ არა მარტო მუშები, არამედ გენტის დანარჩენი მცხოვრებნიც.

მეორე „სახალხო სახლი“, გამოჭიმული ბურჟუების უბანში, დანიშნული იყო განსაკუთრებით დღესასწაულებისთვის, აქვე იკრიბებოდნენ მუშები კვირა-უქმეობით. მუშათა პარტიის კონგრესის დროს იქ იყრიან სხდომებზე თავს მთელის ბელგიის მუშათა დეპუტატები. ძალზე მდიდარი შენობაა. ძირს ვეებერთელა რესტორანია, სადაც ძლიერ იაფად შეუძლია მუშას მიიღოს ლუდი, ყავა, ხაჭაპურები, საუზმე. იქვე, დაბლა, დიდებული დარბაზია, რომლის კარებით შეიძლება გასვლა უზარმაზარ ბაღში—მუშების ბაღში. დარბაზი მორთულია გვირგვინებით და დიდის წითელის დროშებით. ესტრადაზე ზემოდან გადმოზიდულია, ჭერიდან იატაკისაკენ, წითელი ტილო შემდეგის წარწერით: „ძალა კავშირსა და ერთობაშია.“ ამ ტილოს აქეთ-იქით ორი ბაირაღი აქვს და ორივეზე შემდეგი წარწერია: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით,“ ღია კარებში ბაღიდან კამარ-კამარად შემოდის გაზაფხულის სურნელოვანი ჰაერი. ბაღში აუარებელი სტოლი და სკამია. ერთს კუთხეში ფანჯატურია ორკესტრისთვის. ამ ბაღში, რომელიც მუშების საკუთრებას შეადგენს, თავს იყრიან ათასობით და ათი ათასობით მუშები თავიანთის ცოლებითა და შვილებით, მთელს სახლსა და ბაღს აცოცხლებს მაშინ ამაჲი ხმაურობა და ჟრიამული, სიცილი და მხიარულება, ერთ კუთხეში ორკესტრი უკრავს. მთელის კვირის განმავლობაში დაქანცული მუშები აქ ისვენებენ, ამ საკუთარ ოჯახში, რომელიც გვირგვინია მათის ბრძოლისა თავისუფლად არსებობის უფლების მოსაპოვებლად, თავიანთ გაჭირვების დასაკმაყოფილებლად.

ფედორს ყველანი ალერსიანად ემუსაიფებოდნენ, ეკითხებოდნენ რუსეთზე. აი მივიდა მასთან გენტის მუშების გამოჩენილი ბელადი და ორგანიზატორი ანსელე. იგი დიდხანს ეკითხებოდა ფედორს მუშების მდგომარეობაზე რუსეთში.

— არ დაჰლონდეთ, იბრძოლეთ უუფლებობის წინააღმდეგ, შეერთდით, ისწავლეთ· ჩვენი პირველდაწყებითი საქმე ურთიერთ შორის დამხმარებელი კასსა იყო, კასსა ბრძოლისა, რომელიც მიმართული გვქონდა ცალკე კაპიტალისტის წინააღმდეგ და აი, ხომ ჰხედავ, ამხანაგო, რა დღეს მოვესწარით, ძლიერი პოლიტიკური პარტიაცა გვაქვს და პარლამენტშიაც

ქართლელი.

ვიბრძვით. ჩვენ პატარა საქმეები არ გვეზიზღებოდა, ჩვენ ?აერთებდით დატანჯულ ხალხს მათის საჭირ-ბოროტო, ყოველდღიურ გაჭირვების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. დავიწყეთ

რაღაც საცოდავ საბუღკეებიდან სარდაფში და ახლა თვით ჩვენი მეფის სასახლეც კი შერცხვეს ჩვენის სახლების წინაშე! ამპარტავნულად გაიღიმა ანსელმ.

არტცმა ფედორს ხელი დაადო მხარზე. ისინი უნდა დაჩქარებულიყვნენ ბრიუსელისაკენ. 1½ საათის შემდეგ უკვე ჩრდილოეთის სადგურზე იყვნენ.

— საღამომდე კიდევ მოვასწრებთ ხეტიალს, წავიდეთ ჩვენის გაზეთის რედაქციაში.

ფედორი და არტცი კვლავ გაჩნდნენ მუშების ტალახიან უბნებში. საბლის ქუჩაზე მოთავსებული იყო მუშების გაზეთის რედაქცია. ამ გაზეთს სახელად „ხალხი“ ერქვა. რედაქციის გვერდით გამართული იყო მუშათა პარტიის წიგნის მაღაზია.

— რაზე სწერს ეს გაზეთი?—შეეკითხა ფედორი.

— ყველაფერზე, რაც კი მუშებს შეეხება—გაფიცვებზე, კავშირებზე და სხვა და სხვა გაჭირვებაზე, იგი უხსნის მუშებს, რომ საჭიროა ბრძოლა. ბეჭდავს განცხადებებს მუშების კრებების შესახებ, ათავსებს ანგარიშს მუშათა მოძრაობაზე სხვა ქვეყნებში, ერთის სიტყვით, სწერს ყველაფერს, რაც საჭიროა და სასარგებლო მუშებისათვის. იგი უნმარტავს მუშებს ბურჟუაზიის ყოფა ქცევას, მისს ტაქტიკას, ზომებს მუშების წინააღმდეგ მიღებულს, უხსნის რა საფრთხე მოელით ბურჟუაზიისაგან და როგორი ზომებია საჭირო ამ საფრთხის

ᲔᲡᲜᲘ ᲥᲣᲩᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ.

თავიდან ასაშორებლად. პარლამენტის სხდომების დროს „ხალხი“ ბეჭდავს ანგარიშს სხდომებისას და არჩევს მათ მუშათა კლასის ინტერესების და მიხედვით. იგია აგრეთვე მზრუნველი მუშების განვითარებისთვის და ათავსებს სხვა და სხვა სამეცნიერო წერილებს მუშათა საკითხზე.

— ცენზურა?

— ჰა, ჰა, ჰა! ჩვენში არავითარი ცენზურა არ არსებობს! ჩვენ შეგვიძლია, რაზედაც გვსურს, იმაზე ვსწეროთ; ნება გვაქვს დავსტამბოთ, როგორიც გვინდა, ისეთი მოწოდებანი, თუნდაც რევოლიუციისათვის მოვუწოდებთ ხალხს. ჩვენმა მთავრობამ და ხალხმა კარგად იციან. რომ თავისუფალ ქვეყანაში ადამიანები არ გამოვლენ ცხვირ პირის ჩასამტვრევათ მხოლოდ იმიტომ რომ ეს ქაღალდის ნაგლეჯზე იქნება დაწერილი: ჩვენის ხელით ძლიერ ბევრი მშვიდობიანი საშუალებაა ჩვენის ინტერესების დასაცავად და ვერავითარი მოწოდება რევოლიუციისადმი ვერ შეიქმს მას. მაგრამ თუ ჩვენი მთავრობა იქამდე შესცდა ჭკვაზე, რომ მისდა დასამხობათ რევოლიუცია შეიქნა საჭირო, იმ შემთხვევაში განა ცენზურა შეაჩერებს რევოლიუციას თავის აკრძალვებითა და წითელის მელნით? წითელი მელანი, ჩემო ამხანაგო, ვერაფერი ფარია ხალხის წყრომის მოსაგერებლად. თუმცა გვაქვს ერთი რამ აკრძალული, მაგრამ აქა ნაფიცი მსაჯულები არჩევენ საქმეს.

— რა სახელდობრ?

— ბეჭდვით სიტყვას არა აქვს ნება შეურაცხყოს მეფე თუ რომელმამე რედაქტორმა დასწერა ასეთი რამ, სამართალში მისცემენ კანონის მუხლის ძალით, „უდიდებულესობის შეურაცყოფისათვის.“ მაგრამ ძლიერ იშვიათია ჩვენში ასეთი შემთხვევა. მეფე თითქმის სრულებით არ ერევა ჩვენს საქმეში და ისეა შეზღუდული მისი უფლებები პარლამენტის მიერ, რომ ძნელად თუ ვინმეს მოეხასიათება მისი შეურაცყოფა. პირიქით, ხალხი ყოველთვის ისე ხვდება იმას ან მის ოჯახობას, როგორც თავის თანამომძმეს. მეფეს ძლიერ მცირე ჯამაგირი აქვს და თავისთვის სცხოვრობს.

რედაქციაში არტცი და ფედორი მოვიდენ სწორედ მაშინ, როცა იქ „ხალხის“ სამაისტრ ნომერს ამზადებდენ. ამ ნომერში მოყვანილი იყო ის, თუ როგორ წავიდა პარტიის საქმე წლის განმავლობაში, გარჩეული იყო მისი მოღვაწეობა, აღნუსხული იყო გამარჯვება—დამარცხებაც, და ის გზა, რომელსაც უნდა დასდგომოდნენ მუშები მომავალში.

როცა ფედორი და არტცი „ხალხ“-ის რედაქციიდან გამოვიდნენ, წინ შეეხეჩათ პოლიციელი, რომელიც მიდიოდა თავის პოსტზე. პოლიციელის დანახვამ უცბად მოაგონდა ფედორს თავისი სამშობლო.

— ჟანდარმები გყავთ თქვენა?

— გვყავს.

— ესე იგი საიდუმლო პოლიცია?

— არის, არის.

— ხალხსაც სჩხრეკენ?

— ჩხრეკა? როგორ შეიძლება! ჩვენის კონსტიტუციის ძალით, პიროვნება და ბინა ხელუხლებელია!—სიამაყით წარმოსთქვა არტცმა და წელში გაიმართა. არავის არა აქვს ნება დამიჭირონ მე ქუჩაში, ან და ჩემი ბინა გაჩხრიკონ, იგი წმიდაა წმიდა. ან რისთვის უნდა მოხდეს ჩვენში პოლიტიკური ჩხრეკა? ჩვენ ხომ შეგვიძლია როგორის შინაარსისა და რამდენიც გვინდა, ისეთი და იმდენი წიგნი შევინახოთ. საიდუმლო პოლიცია ჩვენთვის უფრო სხვა მხრივაა საჭირო: ადამიანები ჯერ კიდევ არ არიან იმდენად შეგნებულნი და უზრუნველყოფილნი, ქურდობა, მკვლელობა და სხვა დანაშაული კიდევ ხშირი მოვლენაა. მაგრამ ამისთანა შემთხვევაშიაც დიდი სიფრთხილეა საჭირო და ვაი იმათ, თუ გაჰბედეს და ვინმე უსაფუძვლოდ დაიჭირეს! ეს მოქალაქის უფლების დარღვევა იქნებოდა, ეს ძირიანად შეარყევდა ძირითად საფუძველს ჩვენის კონსტიტუციისას...

ქალაქი უკვე საღამოს ზეწარში ეხვევოდა და ჩვენი მუშები „სახალხო სახლისკენ“ დაბრუნდნენ.

Ა. ᲚᲝᲛᲗᲐᲗᲘᲫᲔ

(დასასრული იქნება).



ᲔᲡᲜᲘᲒ!

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘ ᲐᲚ. Ბ. ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲬᲘᲒ. ᲒᲐᲛᲝᲛᲪ. ᲥᲐᲠᲗ. ᲐᲛᲮ—ᲡᲐ.

ᲕᲐᲜᲥᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲣᲩᲐ—ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 37.